# საქართველო
## ყაზბეგის მუნიციპალიტეტის საკრებულო

№ 18 "16" 02 "2012 წ.

კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების

სააგენტოს თავმჯდომარეს

ბატონ ტატო ურჯუმელაშვილს

განცობებთ, რომ ყაზბეგის მუნიციპალიტეტის მიერ გამოცხადებული საკონკურსო განცხადება N294, რომელიც ითვალისწინებდა ყაზბეგის მუნიციპალიტეტის დ.სტეფანწმინდის ცენტრალური მოედნის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული შენობების სარეკონსტრუქციო სარეაბილიტაციო სამუშაოების პროექტების შესყიდვას, გამოვლენილია გამარჯვებული შ.პ.ს. "ჯი ენ პროექტი".

აღნიშნულთან დაკავშირებით გიგზავნით საკონკურსო კომისიის სხდომის ოქმებს.

გთხოვთ განათავსოთ ჩვენს მიერ გამოცხადებულ N294 კონკურსის შედეგების ველში.

პატივისცემით

საკრებულოს თავმჯდომარე გ.მალანია

საქართველო, ყაზბეგის მუნიციპალიტეტი დ.სტეფანწმინდა,4700, ალ.ყაზბეგის ქ№1, ტელ. 790 57 01 12; 790 57 01 17; ს/კ 241499473; www. kazbegi.org.ge.

### ყაზბეგის მუნიციპალიტეტის

### საკონკურსო კომისიის სხდომის

### ოქმი №1

დ.სტეფანწმინდა 7 თებერვალი 2012 წელი

საკონკურსო კომისიის სხდომას ესწრებოდნენ:

გოჩა მალანია – ყაზბეგის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე
საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე;

ვიქტორ სუჯაშვილი – ყაზბეგის მუნიციპალიტეტის გამგებელი,
საკონკურსო კომისიის წევრი;

გიორგი გომიაშვილი – ყაზბეგის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილე ,
საკონკურსო კომისიის წევრი,

გურამ ფიცხელაური – ყაზბეგის მუნიციპალიტეტის გამგეობის სივრცითი
მოწყობისა და არქიტექტურულ–სამშენებლო საქმიანობაზე
ზედამხედველობის სამსახურის უფროსი;
საკონკურსო კომისიის წევრი;

გურამ ჯამარჯაშვილი – ყაზბეგის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკური
განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი,
საკონკურსო კომისიის წევრი;

ხათუნა გომიაშვილი – ყაზბეგის მუნიციპალიტეტის გამგეობის მატერიალურ–
ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი,
საკონკურსო კომისიის წევრი;

ლელა ფიცხელაური – ყაზბეგის მუნიციპალიტეტის გამგეობის სივრცითი მოწყობისა
და არქიტექტურულ–სამშენებლო საქმიანობაზე
ზედამხედველობის სამსახურის სპეციალისტი,
საკონკურსო კომისიის წევრი;

ეთერ დვალიშვილი – ყაზბეგის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი,
საკონკურსო კომისიის მდივანი.

დღის წესრიგი

კონკურსის მეშვეობით დ.სტეფანწმინდის ცენტრალური მოედნის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული შენობების სარეკონსტრუქციო სამუშაოთა საექსკლუზივო არქიტექტურული ესკიზის გამოვლენისა და შემდგომში კონკურსანტის მიერ ხელშეკრულების საფუძველზე საპროექტო–სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მიზნით საკონკურსო განცხადებისა და საკონკურსო დოკუმენტაციის დამტკიცების შესახებ.

მოისმინეს:

საკონკურსო კომისიის წევრმა გიორგი გომიაშვილმა კომისიის წევრებს გააცნო საკონკურსო განცხადების და საკონკურსო დოკუმენტაციის პროექტი

აზრი გამოთქვეს:

საკონკურსო კომისიის თავმჯდომარემ გოჩა მალანიამ.

საკონკურსო კომისიის წევრებმა : ზურაბ ფიცხელაურმა და ვიქტორ სუჯაშვილმა

დაადგინეს:

1. დამტკიცდეს საკონკურსო კომისიის მიერ დ.სტეფანწმინდის ცენტრალური მოედნის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული შენობების სარეკონსტრუქციო – სარემონტო სამუშაოთა პროექტების საკონკურსო განცხადება და საკონკურსო დოკუმენტაციის პროექტი.

2. საკონკურსო წინადადებების მიღების საბოლოო ვადა განისაზღვროს 2017 წლის 15 თებერვლის 14 საათი

3. დაევალოს საკონკურსო კომისიის წევრს ხათუნა გომიაშვილს უზრუნველყოს განცხადების (თანდართული დოკუმენტებით) გაგზავნა კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ოფიციალურ ვებ–გვერდზე მისი გამოქვეყნების მიზნით.

საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე: გ.მალანია

საკონკურსო კომისიის წევრები: ვ.სუჯაშვილი

გ.გომიაშვილი

ზ.ფიცხელაური

გ.ჯაბარჯაშვილი

ხ.გომიაშვილი

ლ.ფიცხელაური

მდივანი: ე.დვალიშვილი

# ყაზბეგის მუნიციპალიტეტის საკონკურსო კომისიის სხდომის

# ოქმი №2

დ.სტეფანწმინდა 15 თებერვალი 2012 წელი

საკონკურსო კომისიის სხდომას ესწრებოდნენ:

გოჩა მალანია – ყაზბეგის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე
საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე;

ვაჟა ფიცხელაური – ყაზბეგის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი,
საკონკურსო კომისიის წევრი;

ვიქტორ სუჯაშვილი – ყაზბეგის მუნიციპალიტეტის გამგებელი,
საკონკურსო კომისიის წევრი;

გიორგი გომიაშვილი – ყაზბეგის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილე ,
საკონკურსო კომისიის წევრი,

გურამ ფიცხელაური – ყაზბეგის მუნიციპალიტეტის გამგეობის სივრცითი
მოწყობისა და არქიტექტურულ–სამშენებლო საქმიანობაზე
ზედამხედველობის სამსახურის უფროსი;
საკონკურსო კომისიის წევრი;

გურამ ჯამარჯაშვილი – ყაზბეგის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკური
განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი,
საკონკურსო კომისიის წევრი;

ხათუნა გომიაშვილი – ყაზბეგის მუნიციპალიტეტის გამგეობის მატერიალურ–
ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი,
საკონკურსო კომისიის წევრი;

ლელა ფიცხელაური – ყაზბეგის მუნიციპალიტეტის გამგეობის სივრცითი მოწყობისა
და არქიტექტურულ–სამშენებლო საქმიანობაზე
ზედამხედველობის სამსახურის სპეციალისტი,
საკონკურსო კომისიის წევრი;

ეთერ დვალიშვილი – ყაზბეგის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი.
საკონკურსო კომისიის მდივანი.

დღის წესრიგი

ყაზბეგის მუნიციპალიტეტის მიერ 2012 წლის 8 თებერვალს გამოცხადებული №294 კონკურსის მეშვეობით დ.სტეფანწმინდის ცენტრალური მოედნის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული შენობების სარეკონსტრუქციო სამუშაოთა საუკეთესო არქიტექტურული ესკიზის გამოვლენისა და შემდგომში კონკურსანტის მიერ ხელშეკრულების საფუძველზე საპროექტო–სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მიზნით წარმოდგენილი საკონკურსო წინადადების პაკეტის გახსნა / განხილვა და გამარჯვებულის გამოვლენა.

აღნიშნულ კონკურსზე საკონკურსო წინადადება წარმოადგინა ერთმა პრეტენდენტმა, კერძოდ, შ.პ.ს. „ჯი ენ პროექტმა„ , რომლის საკონკურსო წინადადების ფასი შეადგენს 58 000 ლარს დ.ღ.გ.–ს ჩათვლით.

მოისმინეს:

საკონკურსო კომისიამ განიხილა შ.პ.ს. „ჯი ენ პროექტის" მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება, რომელიც შეიცავს საგადასახადო დავალებას, განმარტებით ბარათს, არქიტექტურული პროექტის ესკიზებს , რეკვიზიტებს და ინფორმაციას მომსახურების ვადების შესახებ.

განხილვის შედეგად აღმოჩნდა , რომ კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია სრულად შეესაბამება საკონკურსო განცხადებაში მოთხოვნილ პირობებს და „სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის №3 ბრძანების" მე–6 მუხლით განსაზღვრულ მონაცემებს.

დაადგინეს:

1. ყაზბეგის მუნიციპალიტეტის საკონკურსო კომისიის მიერ გამოცხადებულ №294 კონკურსში გამარჯვებულად გამოვლინდეს შ.პ.ს. „ჯი ენ პროექტი" და გაფორმდეს მასთან ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად.

2. ეცნობოს აღნიშნულის შესახებ შ.პ.ს. „ჯი ენ პროექტს" , რომელმაც ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 დღეში უნდა წარმოადგინოს საპროექტო–სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია.

3. დაევალოს საკონკურსო კომისიის წევრს ხათუნა გოშიაშვილს უზრუნველყოს აღნიშნული ოქმის გაგზავნა კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ოფიციალურ ვებ–გვერდზე მისი გამოქვეყნების მიზნით.

საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე: გ.შალანია

საკონკურსო კომისიის წევრები: ვ.სუჯაშვილი
ვ.ფიცხელაური
ხ.გოშიაშვილი
გ.ფიცხელაური
გ.ჯამარჯაშვილი
ხ.გოშიაშვილი
ლ.ფიცხელაური

მდივანი: ე.დვალიშვილი

## ინფორმაცია ინტერესთა კონფლიქტის შესახებ

დ.სტეფანწმინდა 15.02. 2012 წ.

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის შესაბამისად, ქვემოთ ჩამოთვლილი თითოეული პირი, ხელის მოწერით ადასტურებს, რომ ყაზბეგის მუნიციპალიტეტის საკონკურსო კომისიის მიერ 2012 წლის 8 თებერვალს გამოცხადებული №294 კონკურსის საშუალებით მისი მონაწილეობა არ იწვევს ინტერესთა კონფლიქტს.

საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე: გ.მაღანია

წევრები: გ.ხუჯაშვილი

გ.გომიაშვილი

გ.ფიცხელაური

გ.ჯამარჯაშვილი

ხ.გომიაშვილი

ლ.ფიცხელაური